



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 046/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლამარა თელიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორს დავა ჰქონდა სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე, ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის საფუძველით. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა მას უთხრა, რომ მართალი იყი და ურჩია ყადაღა დაედო ნასყიდობის საგნისთვის და სარჩელი შეეტანა ყოფილი მარწმუნებლის წინააღმდეგ, საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის ასეთი რჩევის მიცემის მიზეზად ადვოკატმა მის ყოფილ კლიენტთან ჰონორარის გადაუხდელობის გამო ურთიერთობის გაფუჭება დაასახელა. საჩივრის ავტორმა გაითვალისწინა ადვოკატის რჩევა და ყადაღა დაადო ქონებას. ამავე ადვოკატმა სხვა ადვოკატს ურჩია, რომ საჩივრის ავტორის ინტერესები დაეცვა სასამართლოში, თავად კი ისევ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატად გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. ეს საქმე საჩივრის ავტორის საწინააღმდეგოდ დასრულდა. ადვოკატი კი აცხადებს, რომ საჩივრის ავტორისთვის არ გაუწევია კონსულტაცია და არ ურჩევია მისთვის კონკრეტული ადვოკატის აყვანა, მას არ უთქვამს მოსარჩელისთვის რომ იგი მართალი იყო ადვოკატის მარწმუნებლის წინააღმდეგ დავაში, ადვოკატის განმარტებით, ყოფილ კლიენტთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა აქვს, რაც გამორიცხავს მათ მიმართ პრეტენზიის ქონას.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქცევა შეამოწმა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობება, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ. აქედან გამომდინარე საჩივრის ავტორის პოზიციით, დადასტურებული უნდა იყოს ადვოკატის მხრიდან სამართლებრივი რჩევის მიცემის ფაქტი, ასევე მას არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატის მიერ მისთვის კონსულტაციის გაწევის ფაქტის დადასტურება. ადვოკატი საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით. ადვოკატმა ყველა შესაძლო ხერხი უნდა გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს მისი ვალდებულებები და კლიენტის ინტერესები დააყენოს ნებისმიერი სხვა ინტერესებზე მაღლა, თუმცა, საქმიანობის განხორციელებისას უნდა ემორჩილებოდეს კანონმდებლობას.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ ვერ აღმოაჩინა ადვოკატის ქცევაში ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3(ა) მუხლისა და 8.2 მუხლის შესაძლო დარღვევა და უარი თქვა დისციპლინური დევნის აღძვრაზე.

¹ <https://gba.ge/pdf/5c5297117b3e6.pdf/5c5297117b3e6.pdf>